საქართველოს პარლამენტი

ინფორმაცია

საქართველოს პარლამენტის სხდომათა
დარბაზის კომპიუტერული სისტემის შესახებ

თბილისი
ივნისი, 2008 წელი

ძვირფასო პარლამენტის წევრებო!

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 65-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურის მიერ პარლამენტის სხდომაზე რეგისტრაციისა და კენჭისყრებში მონაწილეობისათვის თქვენ მოგეცემათ ხმის მისაცემი ბარათი, რომლის სხვაზე გადაცემა და სხვის მიერ რეგისტრაციაში და კენჭისყრაში გამოყენება დაუშვებელია (რეგლამენტის 63-ე მუხლი), პარლამენტის სხდომის დასრულების, ან სხდომიდან წასვლის შემთხვევაში ხმის მისაცემ ბარათს აბარებთ მანდატურის სამსახურს. ხმის მისაცემი ბარათის გამოყენება ხდება პარლამენტის სხდომათა დარბაზში დამონტაჟებული ხმის მიცემის სისტემის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს კენჭისყრისა და რეგისტრაციის სრულ საიმედოობას.

ხმის მისაცემი ბარათი რეგისტრაციის და კენჭისყრის წინ უნდა მოთავსდეს თქვენთვის განკუთვნილ მაგიდაზე დამონტაჟებული მოწყობილობის (შემდგომ კენჭისყრის პანელი) ბუდეში ბარათზე ნაჩვენები ისრის მიმართულებით.



ბარათის ბუდეში მოთავსებისას, ბუდის ქვედა კუთხეში წითელი ნათურის ჩაქრობა მიანიშნებს, რომ ბარათის კოდი სისტემამ წაიკითხა. <u>რეგისტრაციის და კენჭისყრის დროს ბარათი ყოველთვის ბუდეში უნდა იყოს მოთავსებული.</u>

<u>რეგისტრაციის დროს</u> ციმციმებს ნათურა "დააჭირეთ რეგისტრაციის ღილაკს". ტაბლოზე ნაჩვენები დროის განმავლობაში ხელს აჭერთ კლავიშს "რეგისტრაცია".

წითელი ნათურის ანთების შემთხვევაში თქვენ გაიარეთ რეგისტრაცია.

ეკრანზე ნაჩვენები დროის გასვლის შემდეგ რეგისტრაცია აღარ მიიღება.

დაგვიანების შემთხვევაში თქვენი დამატება რეგისტრირებულთა სიაში ხდება მხოლოდ დარბაზის შემოსასვლელთან მარცხენა კუთხეში დამონტაჟებული მოწყობილობის დახმარებით.
<u>გახსოვდეთ!</u> რეგისტრაციის გარეშე კენჭისყრაში მონაწილეობას ვერ მიიღებთ.

<u>ღია კენჭისყრის დროს</u> ტაბლოზე ნაჩვენები დროის განმავლობაში ხელს აჭერთ კლავიშებიდან ერთ-ერთს: "მომხრე" ან "წინააღმდეგი" ("თავი შეიკავა" დღეისათვის რეგლამენტით არ არის გათვალისწინებული).

შესაბამის კლავიშთან ანთებული ნათურა ადასტურებს, რომ თქვენი ხმა მიღებულია სისტემის მიერ.

<u>ფარული კენჭისყრის დროს</u> ყველა პროცედურა ისევე მიმდინარეობს, როგორც ღია კენჭისყრისას, გარდა ერთი მნიშვნელოვანი განსხვავებისა: თქვენი არჩევანის გაკეთების შემთხვევაში კლავიშების "მომხრე" და "წინააღმდეგი" ზემოთ განლაგებული ყველა ნათურა ღია კენჭისყრისაგან განსხვავებით ერთდროულად აციმციმდება და ჩაქრება.

ტაბლოზე ნაჩვენები დროის გასვლისა და ნათურის ჩაქრობის შემდეგ თქვენი არჩევანი აღარ მიიღება.

<u>**კენჭისყრისათვის გამოყოფილი დროის განმავლობაში სისტემა მიიღებს მხოლოდ თქვენს საბოლო არჩევანს (რომელ კლავიშსაც დააჭერთ ბოლოს).**</u>

<u>**შენიშვნები:**</u>

1. ხმის მისაცემი ბარათის ან მოწყობილობის დაზიანების შემთხვევაში მიმართეთ სხდომების კომპიუტერული უზრუნველყოფის ჯგუფს.

2. <u>თქვენი ხმის მისაცემი ბარათის დაკარგვის შემთხვევაში სხდომების კომპიუტერული უზრუნველყოფის ჯგუფი გააუქმებს დაკარგული ბარათის ნომერს და ოფიციალური მიმართვის საფუძველზე მოგანიჭებთ ახალს.</u>

პატივისცემით, პარლამენტის აპარატი